

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N

„----“ ----- 2016 წელი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი დანართის შესაბამისად.

მუხლი 2.

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 3.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დუშეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 25 დეკემბრის N36 დადგენილება (matsne.gov.ge, 25/12/2015, 190020020.35.152.016244)

მუხლი 2. დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით.

ათასი ლარი

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	11,841.8	13,209.4	6,570.7	6,638.7	6,604.3	0.0	6,604.3
შემოსავლები	11,594.7	13,209.4	6,570.7	6,638.7	6,604.3	0.0	6,604.3
არაფინანსური აქტივების კლება	247.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	13,544.6	16,521.6	8,793.9	7,727.7	6,604.3	0.0	6,604.3
ხარჯები	5,938.7	6,249.9	163.4	6,086.5	5,681.8	0.0	5,681.8
შრომის ანაზღაურება	1,469.9	1,491.2	0.0	1,491.2	1,429.3	0.0	1,429.3
არაფინანსური აქტივების ზრდა	7,348.9	9,891.9	8,591.1	1,300.8	631.4	0.0	631.4
ვალდებულებების კლება	257.0	379.8	39.4	340.4	291.1	0.0	291.1
ნაშთის ცვლილება	-1,702.8	-3,312.2	-2,223.2	-1,089.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 3. დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 6 604,3 ათასი ლარის ოდენობით.

ათასი ლარი

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	11,594.7	13,209.4	6,570.7	6,638.7	6,604.3	0.0	6,604.3
გადასახადები	1,718.6	2,895.8	0.0	2,895.8	2,930.0	0.0	2,930.0
გრანტები	9,120.7	9,898.6	6,570.7	3,327.9	3,263.1	0.0	3,263.1
სხვა შემოსავლები	755.4	415.0	0.0	415.0	411.2	0.0	411.2

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 2 930,0 ათასი ლარის ოდენობით.

ათასი ლარი

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	1,718.6	2,895.8	0.0	2,895.8	2,930.0	0.0	2,930.0
საშემოსავლო გადასახადი	0.0	700.0	0.0	700.0	350.0	0.0	350.0
ქონების გადასახადი	1,718.6	2,195.8	0.0	2,195.8	2,580.0	0.0	2,580.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1,271.6	1,200.0		1,200.0	1,450.0		1,450.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	48.2	15.0	0.0	15.0	30.0	0.0	30.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	68.5	40.0	0.0	40.0	40.0	0.0	40.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	330.3	940.8	0.0	940.8	1,060.0	0.0	1,060.0
სხვა გადასახადები ქონებაზე	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა გადასახადები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 3 263,1 ათასი ლარის ოდენობით

ათასი ლარი

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
გრანტები	9,120.7	9,898.6	3,263.1
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	97.3	14.5	0.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	9,023.4	9,884.1	3,263.1
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	3,746.2	3,313.4	3,263.1
გათანაბრებითი ტრანსფერი	3,645.0	3,203.4	3,153.1
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	101.2	110.0	110.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	5,277.2	6,570.7	0.0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	2,529.7	1937.8	0.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1514.2	1381.6	0.0
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	0.0	570.0	0.0
სქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	0.0	0.0	0.0
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები	1233.3	2681.3	0.0

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 411,2 ათასი ლარის ოდენობით.

ათასი ლარი

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	755.4	415.0	411.2
შემოსავლები საკუთრებიდან	461.1	245.0	225.0
პროცენტები	131.0	35.0	0.0
რენტა	330.1	210.0	225.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	310.6	200.0	215.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	19.5	10.0	10.0
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	0.0	0.0	0.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	83.5	91.5	96.2
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	70.6	79.5	84.2
სანებართვო მოსაკრებელი	6.5	5.0	5.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.4	0.0	0.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	63.7	74.5	79.2
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	12.9	12.0	12.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	12.9	12.0	12.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	200.0	78.5	90.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	10.8	0.0	0.0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 5 681,8 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით.

ათასი ლარი

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	5,938.7	6,249.9	163.4	6,086.5	5,681.8	0.0	5,681.8
შრომის ანაზღაურება	1,469.9	1,491.2	0.0	1,491.2	1,429.3	0.0	1,429.3
საქონელი და მომსახურება	1,092.3	1,186.3	55.6	1,130.7	997.8	0.0	997.8
პროცენტი	153.1	122.6	0.0	122.6	89.7	0.0	89.7
სუბსიდიები	2,465.4	2,632.0	0.0	2,632.0	2,772.9	0.0	2,772.9
გრანტები	175.4	122.2	0.0	122.2	32.3	0.0	32.3
სოციალური უზრუნველყოფა	465.3	591.3	56.0	535.3	354.0	0.0	354.0
სხვა ხარჯები	117.3	104.3	51.8	52.5	5.8	0.0	5.8

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 631,4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ათასი ლარი

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების ცვლილება	7,101.8	9,891.9	8,591.1	1,300.8	631.4	0.0	631.4
ზრდა	7,348.9	9,891.9	8,591.1	1,300.8	631.4	0.0	631.4
კლება	247.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 631,4 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	570.4	39.6	4.0
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	1.0	1.5
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	6,283.4	9,050.1	545.8
განათლება	467.7	227.0	69.9
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	27.4	574.2	10.2
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0
სულ ჯამი	7,348.9	9,891.9	631.4

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0,0 ათასი ლარის ოდენობით.

ათასი ლარი

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	247.1	0.0	0.0
ძირითადი აქტივები	119.0	0.0	0.0

ათასი ლარი

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
მატერიალური მარაგები	0.0	0.0	0.0
არაწარმოებული აქტივები	128.1	0.0	0.0
მიწა	128.1	0.0	0.0
სხვა ბუნებრივი აქტივები	0.0	0.0	0.0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,798.0	2,417.1	0.0	2,417.1	2,226.0	0.0	2,226.0
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,644.9	2,294.5	0.0	2,294.5	2,136.3	0.0	2,136.3
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,644.9	2,237.2	0.0	2,237.2	2,056.3	0.0	2,056.3
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	57.3	0.0	57.3	80.0	0.0	80.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	153.1	122.6	0.0	122.6	89.7	0.0	89.7
702	თავდაცვა	37.5	61.9	0.0	61.9	51.6	0.0	51.6
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	174.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	174.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	6,082.1	9,346.0	8,037.4	1,308.6	918.8	0.0	918.8
7045	ტრანსპორტი	2,399.2	3,154.6	2,420.1	734.5	340.0	0.0	340.0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2,254.3	3,051.7	2,420.1	631.6	250.0	0.0	250.0
70454	საჰაერო ტრანსპორტი	144.9	100.0	0.0	100.0	90.0	0.0	90.0
70455	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	0.0	2.9	0.0	2.9	0.0	0.0	0.0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	3,682.9	6,191.4	5,617.3	574.1	578.8	0.0	578.8
705	გარემოს დაცვა	20.1	1.9	0.0	1.9	0.0	0.0	0.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	20.1	1.9	0.0	1.9	0.0	0.0	0.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	365.9	383.4	80.5	302.9	230.0	0.0	230.0
7061	ბინათმშენებლობა	6.4	11.5	0.0	11.5	0.0	0.0	0.0
7063	წყალმომარაგება	238.8	198.4	80.5	117.9	100.0	0.0	100.0

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
7064	გარე განათება	120.4	100.4	0.0	100.4	130.0	0.0	130.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	0.3	73.1	0.0	73.1	0.0	0.0	0.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	45.7	43.0	0.0	43.0	38.7	0.0	38.7
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	45.7	43.0	0.0	43.0	38.7	0.0	38.7
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1,777.8	1,855.5	560.8	1,294.7	983.7	0.0	983.7
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1,246.1	701.4	85.8	615.6	450.8	0.0	450.8
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	510.7	1,116.3	475.0	641.3	509.6	0.0	509.6
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	2.5	3.3	0.0	3.3	3.3	0.0	3.3
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	10.7	24.5	0.0	24.5	10.0	0.0	10.0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	7.8	10.0	0.0	10.0	10.0	0.0	10.0
709	განათლება	1,390.2	1,230.6	19.8	1,210.8	1,299.2	0.0	1,299.2
7091	სკოლამდელი აღზრდა	1,280.2	894.7	0.0	894.7	1,132.1	0.0	1,132.1
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	110.0	250.8	19.8	231.0	167.1	0.0	167.1
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	0.0	85.1	0.0	85.1	0.0	0.0	0.0
710	სოციალური დაცვა	596.1	802.4	56.0	746.4	565.2	0.0	565.2
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	92.3	97.1	0.0	97.1	96.4	0.0	96.4
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	400.1	535.3	56.0	479.3	300.0	0.0	300.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	10.6	0.0	0.0	0.0	13.0	0.0	13.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	93.1	170.0	0.0	170.0	155.8	0.0	155.8
	სულ	13,287.6	16,141.8	8,754.5	7,387.3	6,313.2	0.0	6,313.2

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 291,1 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0,0 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1,702.8	-3,312.2	-2,223.2	-1,089.0	0.0	0.0	0.0
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	1,702.8	3,312.2	2,223.2	1,089.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	1,702.8	3,312.2	2,223.2	1,089.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება (-291,1) ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 80,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 110,0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 38,7 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 51,6 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 6,0 ათასი ლარი;

დ) „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად 13.7 ათასი ლარი;

2.„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი-ს“ 69-ე მუხლის საფუძველზე, წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1.თავდაცვა და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მოსწავლეთა პირველადი აღრიცხვა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტით მომსახურება და სარეზერვო ძალების მობილიზება.

1.2 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ქ. დუშეთში ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღრიცხვა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტით მომსახურება. ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

დუშეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული

მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, კეთილმოწყობის სამუშაოები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა, პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

მუნიციპალიტეტში სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, ამიტომ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საავტომობილო გზების, ხიდების და ბოგირების მშენებლობის აუცილებლობა. მნიშვნელოვანია საკურორტო ცენტრებთან, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან მისასვლელი გზების რეკონსტრუქცია და მოდერნიზება. ზამთარში დიდთოვლობის დროს მაღალმთიან სოფლებში ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელია თოვლის საფარისაგან გზების გაწმენდა. ასევე მნიშვნელოვანია საჰაერო ტრანსპორტი მაღალმთიანი სოფლებისათვის, სადაც დიდ თოვლობის დროს ავტოტრანსპორტით მისვლა შეუძლებელია. საჰაერო ტრანსპორტი ამ დროს იძენს სასიცოცხლო მნიშვნელობას მაღალმთიანი სოფლებისთვის.

2.1.1 გზების მშენებლობის რეკონსტრუქციისა და მოვლა - შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დუშეთის მუნიციპალიტეტში იგეგმება გზების და ხიდების მშენებლობა - რეაბილიტაცია.

2.1.2 საჰაერო ტრანსპორტით მომსახურება (პროგრამული კოდი 03 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მეწყერების, დიდთოვლობის შედეგად ჩაკეტილი გზების და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში, შატილსა და არხოტში საჰაერო ტრანსპორტით მომსახურება.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვა, დასუფთავების, გამწვანების ღონისძიებები, სკვერების მოვლა-პატრონობა, მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა.

2.2.1 გარე-განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქუჩების განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მომხმარებელი ელ. ენერჯის ხარჯი, აგრეთვე იგეგმება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე-განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია.

2.2.2 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დუშეთის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია წყალმომარაგების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია.

2.2.3 სარწყავი, სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქვეპროგრამის მიზანია სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების სათავე ნაგებობების წესრიგში მოყვანა და ამორტიზირებული ნაწილის განახლება-რეკონსტრუქცია. იგეგმება აგრეთვე დამცავი გაბიონების მოწყობა და დაზიანებულების აღდგენა.

2.3 კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04)

დღევანდელ დროში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას ახალგაზრდებში, რისთვისაც მნიშვნელოვანია სპორტული ობიექტების მშენებლობა, ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალაქის იერსახის გაუმჯობესებას, რისთვისაც საჭიროა ქალაქის გამწვანება, ბაღების და სკვერების მშენებლობა და მოვლა-პატრონობა.

2.3.1 ბაღების, სკვერების სავაჭრო პავილიონების მოწყობა და კულტურული ძეგლების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება ქ.დუშეთის შემოსავლელში სკვერის მოწყობა.

2.3.2 ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის“ ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 04 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია:

- ქალაქის, დაბების, რიგი სოფლების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაწანწალა ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზებულ თავშესაფარში;

- გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, ქალაქის იერსახის შენარჩუნებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით;
- ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნისათვის ტერიტორიის გამწვანება, ნარგავების, სკვერების მოვლა-პატრონობა, გამწვანების ზონაში ყვავილების და სხვა დეკორატიული მცენარეების დარგვა;
- ქ. დუშეთის სასაფლაოების მოვლა-პატრონობა.

2.4 სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, ექსპერტიზის და ქალქმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 06)

მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს, მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების გათვალისწინებით, შესაბამისი საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. აუცილებელია სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. გარდა ამისა, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება სკოლა-პანსიონების დაფინანსება მოსწავლეთა ხელშეწყობის მიზნით.

3.1 სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 14 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 650-ზე მეტი ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს საბავშვო ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. საბავშვო ბაღებში ერთი ბავშვის კვების ღირებულება შეადგენს 2,80 ლარს. 2017 წელს დაგეგმილია სოფ. ბულაჩაურში და სოფ.ქვეშეთში საბავშვო ბაღების გახსნა.

3.2. მოსწავლეთა ხელშეწყობის ცენტრის დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამის ფარგლებში, მოსწავლეთა ხელშეწყობის მიზნით, მუნიციპალიტეტი აფინანსებს მადაროსკარის, ბარისახოს და შატილის სკოლა-პანსიონებს. პანსიონებში ბავშვთა რაოდენობა შეადგენს 32-ს. კვების ხარჯი ერთ ბავშვზე შეადგენს 2,80 ლარს, რაც მთლიანად

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება. კვების ხარჯების გარდა, მუნიციპალიტეტი აფინანსებს პანსიონების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს.

3.4. საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 04)

პროგრამის ფარგლებში 2017 წელს დაგეგმილია სოფ. ჭართალში და სოფ.ოძისში საბავშვო ბაღების მოწყობა.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე აფინანსებს ახალგაზრდობში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა, უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. 2017 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული ღონისძიება. ტარდება მუნიციპალური, რეგიონულ, საერთაშორისო და რესპუბლიკური ტურნირები ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში, უმცროს ასაკში, ჭაბუკებსა და ახალგაზრდობში, ასევე რეგიონული და რესპუბლიკური ტურნირები ფეხბურთში, ფრენბურთში, ნიჩბოსნობაში, კრივში. დუშეთის სპორტულ სკოლას წარმატებები აქვს ჭიდაობის სხვადასხვა სახეობებში, ფეხბურთში, ფრენბურთში, კრივში, ნიჩბოსნობაში. აღსაზრდელები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა საერთაშორისო და რესპუბლიკურ ტურნირში, სადაც კარგი მიღწევებით გამოირჩევიან.

4.1.1 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიების, ტურნირის, შეჯიბრების ორგანიზება, ხელშეწყობა და დაფინანსება.

4.1.2 სასპორტო გაერთიანების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების“ და მისი ფილიალის სასპორტო სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსებას. სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს სპორტის 10

სახეობა (ფეხბურთი, ჭიდაობა, კალათბურთი, ჭადრაკი, ფრენბურთი, ნიჩბოსნობა, კრივი, კარატე, ტანვარჯიში, ძალოსნობა), სადაც მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენს 400-ს.

4.1.3 რაგბის კლუბის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია დუშეთის რაგბის კლუბის დაფინანსება, რომელიც ითვალისწინებს: საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის საწევრო გადასახადს, რაგბისტთა ტრანსპორტით მომსახურებას, შეკრების ხარჯებს, სხვადასხვა ინვენტარისა და უნიფორმის შესყიდვას.

4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრება ყოველთვის გამოირჩევა მრავალფეროვნებითა და ღონისძიებების სიმრავლით, რაც ხელს უწყობს, როგორც ქართველი ხელოვანების შემოქმედებითი იდეების რეალიზებას, ასევე მუნიციპალიტეტის, კულტურული სტატუსის დამკვიდრებას.

პროგრამა გულისხმობს ჩვენი ქვეყნის ხელოვანების ღირსეულად წარმოჩენას, მათ ხელშეწყობას და მათი პროექტების მეშვეობით მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას, ღვაწლმოსილი ხელოვანების სათანადოდ დაფასებასა და მათი შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას, მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით, პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება კულტურული დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

4.2.1 კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიების ხელშეწყობა და დაფინანსება. მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება.

4.2.2 სახელოვნებო სკოლის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 02)

სახელოვნებო განათლება ქვეყნის კულტურისა და განათლების პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია, როგორც ქართული კულტურის სულიერი და მატერიალური მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და ხელოვნების განვითარების, ისე ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის სრულყოფის საკითხში.

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს სახელოვნებო სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. სახელოვნებო სკოლაში ფუნქციონირებს ხატვის, ძერწვის, თექაზე მუშაობის, ლიტერატურის, საეკლესიო საგალობლების წრეები, სადაც სწავლობს 110 მოსწავლე.

4.2.3 ბიბლიოთეკების ხელშეწყობა(პროგრამული კოდი 05 02 03)

ახალგაზრდა თაობის ინტელექტუალური, ზნეობრივი და კულტურული განვითარების მიზნით, ისევე როგორც გასულ წლებში, 2017 წელს გაგრძელდება ადგილობრივი ბიბლიოთეკების დაფინანსება. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ქ.დუშეთის ალ. როინაშვილის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა, ანანურის, ფასანაურის, ჭოპორტის და დავათის სასოფლო ბიბლიოთეკები. აღნიშნული ბიბლიოთეკები ხელს უწყობს მოსწავლე-ახალგაზრდობის ინტელექტუალურ განვითარებას და მოსახლეობის საჭირო ლიტერატურით მომარაგებას.

4.2.4 მუზეუმების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება დანიელ ჭონქაძის მემორიალური და დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმები, რაც ხელს უწყობს ტრადიციული მემკვიდრეობის შენარჩუნებას და ტურისტების გათვითცნობიერებას ადგილობრივ კულტურასთან.

4.2.5 კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 05)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ხარჯების დაფინანსებას, რომლის ფუნქციაშიც შედის, კულტურის სახლების, მუსიკალური კოლექტივების, მუზეუმების, სახელოვნებო სკოლის კოორდინირება.

4.2.6 კულტურის სახლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ქ.დუშეთის და დაბა ჟინვალის კულტურის სახლები. აღნიშნული კულტურის სახლები ემსახურება პოეზიის საღამოების, ფოლკლორული და თეატრალური ღონისძიებების ჩატარებას. ამავე ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება კულტურის სახლთან არსებული ქართული ხალხური საკრავების და სიმღერის ანსამბლი „ქალილო“, რომლის შემადგენლობაშიც 17 წევრია.

4.2.7 ტელემუწყობლობის და საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გაზეთ „დუშეთის მაცნის“ გამოცემასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობის ინფორმირებას საკრებულოსა და გამგეობის მუშაობის შესახებ, მუნიციპალიტეტის სიახლეების გაშუქებას და პრობლემების წარმოჩენას.

4.2.8 მუსიკალური კოლექტივების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ქ. დუშეთის, დაბა ჟინვალის და დაბა ფასანაურის სამუსიკო სკოლებს, სადაც სწავლობს 196 მოსწავლე, რომლებიც წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა მუსიკალურ კონკურსსა და მუსიკალურ ფესტივალში. სამუსიკო სკოლების დაფინანსება ხდება როგორც ადგილობრივი ბიუჯეტიდან,

ისე მშობელთა შემონატანით. თოთოეულ ბავშვზე სწავლის გადასახდი თვეში შეადგენს 20 ლარს.

4.2.9 დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და ტურიზმის განვითარების ცენტრის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 10)

ქვეპროგრამის მიზანია დუშეთის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევა და პოპულარიზაცია, მუნიციპალიტეტის ტურისტული განვითარების პოტენციალის კვლევა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობი მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და მათ განხორციელებაში მონაწილეობა.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური, არქიტექტურული, ქალაქთმშენებლობის (ურბანული), პალეოგრაფიული, მემორიალური, ეთნოგრაფიული და სხვა ტიპის ძეგლების გამოვლენა, შესწავლა და სათანადო საინფორმაციო ბაზის შექმნა.

4.2.10 კულტურის სახლების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 02 11)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ.დუშეთის კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

4.3 ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიება, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

4.4 რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში ხელი შეეწყობა დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკლესია-მონასტრების ფინანსურ მხარდაჭერას.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი (06 00))

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებით და შეღავათით უზრუნველყოფას. გრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ადგილობრივ დონეზე, სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას, სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

5.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები;
- იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა;
- იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა;
- პარაზიტული დაავადებების ეპიდკვლევა, დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა;
- საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების ხელშეწყობა;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ზედამხედველობა და ხელშეწყობა.

5.2 მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

5.2.1 სამკურნალო დაწესებულებებში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯები (პროგრამული კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწევათ ჯანმრთელობის პრობლემების მქონე, გადახდისუუნარო მოქალაქეებს, რომლებსაც შეიძლება დაუფინანსდეს შემდეგი სამედიცინო მომსახურების სახეები:

- ა) წინასწარი ამბულატორიული გამოკვლევები;
 - ბ) სტაციონარული მკურნალობა;
 - გ) გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში დუშეთის მუნიციპალიტეტიდან სხვა, ნებისმიერ საავადმყოფოში გადაყვანის ხარჯები.
- სამედიცინო მომსახურების ღირებულება ფინანსდება:

- 500 ლარის ჩათვლით – 100% -მდე;
- 501 ლარიდან 1000 ლარის ჩათვლით – 70% - მდე;
- 1001 ლარიდან 3000 ლარის ჩათვლით – 55% - მდე;
- 3001 ლარიდან 5000 ლარის ჩათვლით - 35% -მდე;
- 5001 ლარიდან ზევით 25% –მდე.

საყოველთაო დაზღვევით მოსარგებლე 5 წლამდე ასაკის ბავშვებს და 80 წელს გადაცილებულ მოხუცებს თანადაფინანსების თანხა აუნაზღაურდებათ 100%-ით.

სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობის შემთხვევაში გამოკვლევის, გადაუდებელი ოპერაციული და თერაპიული მკურნალობის 100%-ით დაფინანსება (არაუმეტეს 3,000.00 ლარისა), ხორციელდება დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების საფუძველზე.

5.2.2 მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის და სტუდენტების მგზავრობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს: სოფ. ჩოხიდან-დაბა ფასანაურამდე კვირაში 2-ჯერ, სოფ.ხორხიდან და სოფ. გუდანთან - ქ.დუშეთამდე კვირაში ერთხელ მოსახლეობის უფასოდ მგზავრობის ხელშეწყობას. ასევე დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სტუდენტების მგზავრობის ხელშეწყობას.

5.2.3 სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 03)

ერთჯერადი დახმარების სახით 50 ლარიდან 200 ლარამდე ფინანსური დახმარება გაეწევათ:

ა) გაჭირვებულ მოქალაქეებს, (ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის შუამდგომლობით), გარდა იმ მოქალაქეებისა, რომლებსაც მინიჭებული აქვს 65 000- მდე სარეიტინგო ქულა;

ბ) ჯანმრთელობის განსაკუთრებული პრობლემების მქონე მოქალაქეებს, კერძოდ: დიაბეტით, ეპილეფსიით, პარკინსონიზმით დაავადებულებს, ონკოლოგიურ ავადმყოფებს, I და II ჯგუფის ინვალიდებს, უსინათლოებს;

გ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, რომელთაც არ შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაადგილება;

დ) უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვისათვის - პირებს, რომელთაც ითავეს მიცვალებულის დაკრძალვა;

ე) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ უხუცესებს, რომელთაც შეუსრულდათ ასი და მეტი წელი;

ვ) ოჯახებს, პირველი და მეორე ბავშვის შეძენისას;

ზ) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს, 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით.

თ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის (აფხაზეთი, სამაჩაბლო) ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახებს;

ი) 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მონაწილეებს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მრავალშვილიან (4 და მეტი არასრულწლოვანი შვილი) ოჯახებს ფინანსური დახმარება გაეწევათ 300 ლარის ოდენობით;

ჰემოდიალიზს დაქვემდებარებულ პირებს, ერთჯერადად 300 ლარის ოდენობით;

განსაკუთრებულ შემთხვევებში კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია ზღვრულ ოდენობაზე მეტი თანხის გაცემა (არაუმეტეს 2000 ლარამდე) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე.

5.2.4 საავადმყოფო ფურცელზე მყოფი მუშაკების დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება საავადმყოფო ფურცელზე მყოფი მუშაკების დაფინანსება.

5.2.5 სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 05)

ქვეპროგრამა მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ავადმყოფებისა და სოციალურად გაჭირვებული მოქალაქეების მედიკამენტებით უზრუნველყოფას, მედიკამენტების ღირებულება 100 ლარის ფარგლებში დაუფინანსდებათ:

ა) ეპილექსიით დაავადებულებს;

ბ) პარკინსონით დაავადებულებს;

გ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ 0-100 000- მდე სარეიტინგო ქულა.

5.2.6 „უფასო სასადილოს მზრუნველობამოკლებულთათვის“ დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 06)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს „უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის“ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. უფასო სასადილოთი მომსახურება ითვალისწინებს მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მქონე 110 ბენეფიციარის დღეში ერთჯერად უფასო კვებას, გარდა კვირა დღისა. ერთი ბენეფიციარის კვება/დღის ხარჯი დღეში შეადგენს 1,68 ლარს.

5.2.7 სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწევათ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძრით, სტიქიური მოვლენებით (მიწისძვრა, მეწყერი, წყალდიდობა, დიდთოვლობა და ა.შ) ასევე სხვა მძიმე გარემოებათა გამო დაზარალებულ ოჯახებს ერთჯერადად 1000 (ერთი ათასი) ლარამდე. განსაკუთრებულ შემთხვევებში კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია დახმარების სახით გაიცეს გათვალისწინებულ ზღვრულ ოდენობაზე მეტი თანხა (არაუმეტეს 3000 (სამი ათასი)) ლარისა.

5.2.8 ომის ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების ხარჯი (პროგრამული კოდი 06 02 08)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეორე მსოფლიო ომსა და საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის ბრძოლებში გარდაცვლილ მეომართა ოჯახებზე სარიტუალო ხარჯებს 250 ლარის ოდენობით.

5.2.9 დევნილთა სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები, ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა ერთჯერადი დახმარება 100 ლარის ოდენობით.

5.2.9 პროექტის „დღის სოციალური ცენტრი-დუშეთში“ ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02 10)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების და დუშეთის მუნიციპალიტეტის ერთობლივი პროექტის „დღის სოციალური ცენტრი-დუშეთში“ ხელშეწყობა, რომელიც მიზნად ისახავს სოციალურად იზოლირებულ და დაუცველი ოჯახების უმწეობის შემცირებას მათი სოციალური მხარდაჭერით, თემის მობილიზებითა და ადგილობრივი რესურსების გამოყენებით. ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდება სასწავლო სემინარები, ტრენინგები და სხვადასხვა სოციალური ღონისძიება.

5.2.10 „ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების“ ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02 11)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ „ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანება“, რომლის ერთ-ერთ წევრს (დამფუძნებელს), ქალაქ მცხეთის, თვითმმართველი თემის - მცხეთის, თიანეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებთან ერთად წარმოადგენს დუშეთის მუნიციპალიტეტი. დაგეგმილია საინვესტიციო და ჰუმანიტარული პროექტების მოზიდვის ორგანიზება სხვადასხვა დონორი ორგანიზაციებისაგან.

თავი III

დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 17. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

ორგ. კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	დუშეთის მუნიციპალიტეტი	13,544.6	16,521.6	8,793.9	7,727.7	6,604.3	0.0	6,604.3
	მომუშავეთა რიცხოვნობა	162.0	162.0	0.0	162.0	161.0	0.0	161.0
	ხარჯები	5,938.7	6,249.9	163.4	6,086.5	5,681.8	0.0	5,681.8
	შრომის ანაზღაურება	1,469.9	1,491.2	0.0	1,491.2	1,429.3	0.0	1,429.3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	7,348.9	9,891.9	8,591.1	1,300.8	631.4	0.0	631.4
	ვალდებულებების კლება	257.0	379.8	39.4	340.4	291.1	0.0	291.1
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	3,049.6	2,707.9	0.0	2,707.9	2,517.1	0.0	2,517.1
	მომუშავეთა რიცხოვნობა	159.0	159.0	0.0	159.0	158.0	0.0	158.0
	ხარჯები	2,227.6	2,377.5	0.0	2,377.5	2,222.0	0.0	2,222.0
	შრომის ანაზღაურება	1,441.1	1,456.7	0.0	1,456.7	1,402.7	0.0	1,402.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	570.4	39.6	0.0	39.6	4.0	0.0	4.0
	ვალდებულებების კლება	251.6	290.8	0.0	290.8	291.1	0.0	291.1
01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	599.2	545.1	0.0	545.1	512.9	0.0	512.9
	მომუშავეთა რიცხოვნობა	28.0	28.0		28.0	27.0		27.0
	ხარჯები	596.5	545.1	0.0	545.1	512.9	0.0	512.9
	შრომის ანაზღაურება	428.1	389.3	0.0	389.3	363.0	0.0	363.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
01 02	მუნიციპალიტეტის გამგეობა	2,047.1	1,719.4	0.0	1,719.4	1,543.4	0.0	1,543.4
	მომუშავეთა რიცხოვნობა	131.0	131.0		131.0	131.0		131.0
	ხარჯები	1,478.0	1,652.5	0.0	1,652.5	1,539.4	0.0	1,539.4
	შრომის ანაზღაურება	1,013.0	1,067.4	0.0	1,067.4	1,039.7	0.0	1,039.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	567.8	39.6	0.0	39.6	4.0	0.0	4.0
	ვალდებულებების კლება	1.3	27.3	0.0	27.3	0.0	0.0	0.0
01 03	სარეზერვო ფონდი	0.0	57.3	0.0	57.3	80.0	0.0	80.0
	ხარჯები	0.0	57.3	0.0	57.3	80.0	0.0	80.0
01 04	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	403.3	386.1	0.0	386.1	380.8	0.0	380.8

ორგ. კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	ხარჯები	153.1	122.6	0.0	122.6	89.7	0.0	89.7
	ვალდებულებების კლება	250.2	263.5	0.0	263.5	291.1	0.0	291.1
01 04 01	მ.გ.ფ და სხვა ვალდებულებების დაფარვა	396.6	386.1	0.0	386.1	380.8	0.0	380.8
	ხარჯები	153.1	122.6	0.0	122.6	89.7	0.0	89.7
	ვალდებულებების კლება	243.5	263.5	0.0	263.5	291.1	0.0	291.1
01 04 02	სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება და კანონით გათვალისწინებული თანხების ჩამოჭრა	6.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	6.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 00	თავდაცვა და უსაფრთხოება	211.7	61.9	0.0	61.9	51.6	0.0	51.6
	მომუშავეთა რიცხოვნობა	3.0	3.0	0.0	3.0	3.0	0.0	3.0
	ხარჯები	211.7	60.9	0.0	60.9	50.1	0.0	50.1
	შრომის ანაზღაურება	28.8	34.5	0.0	34.5	26.6	0.0	26.6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	1.0	0.0	1.0	1.5	0.0	1.5
02 01	საგანგებო სიტუაციების მართვა	174.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	174.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	0.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 02	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	37.5	61.9	0.0	61.9	51.6	0.0	51.6
	მომუშავეთა რიცხოვნობა	3.0	3.0		3.0	3.0		3.0
	ხარჯები	37.5	60.9	0.0	60.9	50.1	0.0	50.1
	შრომის ანაზღაურება	28.5	34.5	0.0	34.5	26.6	0.0	26.6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	1.0	0.0	1.0	1.5	0.0	1.5
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	7,314.1	10,021.2	8,243.1	1,778.1	1,234.6	0.0	1,234.6
	ხარჯები	1,029.9	905.4	107.4	798.0	688.8	0.0	688.8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	6,283.4	9,050.1	8,096.3	953.8	545.8	0.0	545.8
	ვალდებულებების კლება	0.8	65.7	39.4	26.3	0.0	0.0	0.0
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	2,399.8	3,181.2	2,433.8	747.4	340.0	0.0	340.0
	ხარჯები	230.5	143.6	0.0	143.6	90.0	0.0	90.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,168.7	3,008.1	2,420.1	588.0	250.0	0.0	250.0
	ვალდებულებების კლება	0.6	29.5	13.7	15.8	0.0	0.0	0.0
03 01 01	გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	2,254.9	3,065.8	2,433.8	632.0	250.0	0.0	250.0
	ხარჯები	85.6	43.6	0.0	43.6	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,168.7	3,008.1	2,420.1	588.0	250.0	0.0	250.0
	ვალდებულებების კლება	0.6	14.1	13.7	0.4	0.0	0.0	0.0
03 01 02	საჰაერო ტრანსპორტის მომსახურების ხარჯი	144.9	115.4	0.0	115.4	90.0	0.0	90.0
	ხარჯები	144.9	100.0	0.0	100.0	90.0	0.0	90.0
	ვალდებულებების კლება	0.0	15.4	0.0	15.4	0.0	0.0	0.0

ორგ. კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	433.1	354.6	80.5	274.1	290.0	0.0	290.0
	ხარჯები	89.4	90.0	0.0	90.0	80.0	0.0	80.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	343.5	260.5	80.5	180.0	210.0	0.0	210.0
	ვალდებულებების კლება	0.2	4.1	0.0	4.1	0.0	0.0	0.0
03 02 01	გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	120.6	101.0	0.0	101.0	130.0	0.0	130.0
	ხარჯები	68.6	70.0	0.0	70.0	80.0	0.0	80.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	51.8	30.4	0.0	30.4	50.0	0.0	50.0
	ვალდებულებების კლება	0.2	0.6	0.0	0.6	0.0	0.0	0.0
03 02 02	საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია	20.1	1.9	0.0	1.9	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	1.9	0.0	1.9	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	20.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 02 03	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	238.8	198.5	80.5	118.0	100.0	0.0	100.0
	ხარჯები	0.0	0.8	0.0	0.8	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	238.8	197.6	80.5	117.1	100.0	0.0	100.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.1	0.0	0.1	0.0	0.0	0.0
03 02 04	გაზაყვანილობის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	0.0	2.9	0.0	2.9	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	2.9	0.0	2.9	0.0	0.0	0.0
03 02 05	სარწყავი, სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია	47.2	35.4	0.0	35.4	60.0	0.0	60.0
	ხარჯები	14.4	5.8	0.0	5.8	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	32.8	29.6	0.0	29.6	60.0	0.0	60.0
03 02 06	ბინათმშენებლობა	6.4	14.9	0.0	14.9	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	6.4	11.5	0.0	11.5	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	3.4	0.0	3.4	0.0	0.0	0.0
03 03	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	1,463.4	1,712.9	1,711.7	1.2	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	147.6	107.4	107.4	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,315.8	1,583.0	1,581.8	1.2	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	22.5	22.5	0.0	0.0	0.0	0.0
03 04	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1,102.1	757.7	86.5	671.2	549.6	0.0	549.6
	ხარჯები	560.9	564.4	0.0	564.4	518.8	0.0	518.8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	541.2	192.6	85.8	106.8	30.8	0.0	30.8
	ვალდებულებების კლება	0.0	0.7	0.7	0.0	0.0	0.0	0.0
03 04 01	სპორტული მოედნების მოწყობა	0.3	73.1	0.0	73.1	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.3	6.8	0.0	6.8	0.0	0.0	0.0

ორგ. კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	66.3	0.0	66.3	0.0	0.0	0.0
03 04 02	გამწვანების ღონისძიებები	0.0	5.0	0.0	5.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	5.0	0.0	5.0	0.0	0.0	0.0
03 04 03	ბაღების, სვერების, სავაჭრო პავილიონების მოწყობა და კულტურული ძეგლების რეაბილიტაცია	543.3	142.1	86.5	55.6	30.8	0.0	30.8
	ხარჯები	2.1	15.1	0.0	15.1	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	541.2	126.3	85.8	40.5	30.8	0.0	30.8
	ვალდებულებების კლება	0.0	0.7	0.7	0.0	0.0	0.0	0.0
03 04 04	ა(ა)იპ "დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის" ხელშეწყობა	558.5	537.5	0.0	537.5	518.8	0.0	518.8
	ხარჯები	558.5	537.5	0.0	537.5	518.8	0.0	518.8
03 05	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება	1,613.0	3,930.6	3,930.6	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,612.3	3,928.1	3,928.1	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	2.5	2.5	0.0	0.0	0.0	0.0
03 06	სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, ექსპერტიზის და ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები	302.7	84.2	0.0	84.2	55.0	0.0	55.0
	ხარჯები	0.8	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	301.9	77.8	0.0	77.8	55.0	0.0	55.0
	ვალდებულებების კლება	0.0	6.4	0.0	6.4	0.0	0.0	0.0
04 00	განათლება	1,390.2	1,242.5	19.8	1,222.7	1,299.2	0.0	1,299.2
	ხარჯები	922.5	1,003.6	0.0	1,003.6	1,229.3	0.0	1,229.3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	467.7	227.0	19.8	207.2	69.9	0.0	69.9
	ვალდებულებების კლება	0.0	11.9	0.0	11.9	0.0	0.0	0.0
04 01	სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა	1,280.2	894.7	0.0	894.7	1,132.1	0.0	1,132.1
	ხარჯები	812.6	894.7	0.0	894.7	1,132.1	0.0	1,132.1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	467.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
04 02	საჯარო სკოლების ხელშეწყობა	0.0	85.1	0.0	85.1	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	85.1	0.0	85.1	0.0	0.0	0.0
04 03	მოსწავლეთა ხელშეწყობის ცენტრის დაფინანსება	110.0	108.0	0.0	108.0	97.2	0.0	97.2
	ხარჯები	109.9	108.0	0.0	108.0	97.2	0.0	97.2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
04 04	საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია	0.0	154.7	19.8	134.9	69.9	0.0	69.9
	ხარჯები	0.0	0.9	0.0	0.9	0.0	0.0	0.0

ორგ. კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	141.9	19.8	122.1	69.9	0.0	69.9
	ვალდებულებების კლება	0.0	11.9	0.0	11.9	0.0	0.0	0.0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	932.6	1,631.3	475.0	1,156.3	897.9	0.0	897.9
	ხარჯები	905.2	1,057.1	0.0	1,057.1	887.7	0.0	887.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	27.4	574.2	475.0	99.2	10.2	0.0	10.2
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	400.9	477.2	0.0	477.2	365.0	0.0	365.0
	ხარჯები	400.9	477.2	0.0	477.2	365.0	0.0	365.0
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	34.9	35.6	0.0	35.6	35.0	0.0	35.0
	ხარჯები	34.9	35.6	0.0	35.6	35.0	0.0	35.0
05 01 02	სასპორტო გაერთიანების ხელშეწყობა	277.6	312.5	0.0	312.5	290.0	0.0	290.0
	ხარჯები	277.6	312.5	0.0	312.5	290.0	0.0	290.0
05 01 03	საფეხბურთო კლუბი "არაგვის" ხელშეწყობა	88.4	10.9	0.0	10.9	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	88.4	10.9	0.0	10.9	0.0	0.0	0.0
05 01 04	რაგბის კლუბის ხელშეწყობა	0.0	45.3	0.0	45.3	40.0	0.0	40.0
	ხარჯები	0.0	45.3	0.0	45.3	40.0	0.0	40.0
05 01 05	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	0.0	72.9	0.0	72.9	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	72.9	0.0	72.9	0.0	0.0	0.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	513.2	1,119.6	475.0	644.6	512.9	0.0	512.9
	ხარჯები	485.8	545.4	0.0	545.4	502.7	0.0	502.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	27.4	574.2	475.0	99.2	10.2	0.0	10.2
05 02 01	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	72.9	88.7	0.0	88.7	60.0	0.0	60.0
	ხარჯები	72.9	88.7	0.0	88.7	60.0	0.0	60.0
05 02 02	სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა	44.6	45.4	0.0	45.4	43.3	0.0	43.3
	ხარჯები	44.6	45.4	0.0	45.4	43.3	0.0	43.3
05 02 03	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	84.9	95.8	0.0	95.8	106.8	0.0	106.8
	ხარჯები	84.9	95.8	0.0	95.8	106.8	0.0	106.8
05 02 04	მუზეუმების ხელშეწყობა	27.5	24.8	0.0	24.8	24.5	0.0	24.5
	ხარჯები	27.5	24.8	0.0	24.8	24.5	0.0	24.5
05 02 05	კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა	34.8	33.1	0.0	33.1	33.6	0.0	33.6
	ხარჯები	34.8	33.1	0.0	33.1	33.6	0.0	33.6
05 02 06	კულტურის სახლების ხელშეწყობა	173.3	132.1	0.0	132.1	132.4	0.0	132.4
	ხარჯები	145.9	132.1	0.0	132.1	132.4	0.0	132.4

ორგ. კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	არაფინანსური აქტივების ზრდა	27.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 02 07	ტელემაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა	2.5	3.3	0.0	3.3	3.3	0.0	3.3
	ხარჯები	2.5	3.3	0.0	3.3	3.3	0.0	3.3
05 02 08	მუსიკალური კოლექტივების ხელშეწყობა	59.5	62.2	0.0	62.2	60.8	0.0	60.8
	ხარჯები	59.5	62.2	0.0	62.2	60.8	0.0	60.8
05 02 09	საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხელშეწყობა	4.0	12.0	0.0	12.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	4.0	12.0	0.0	12.0	0.0	0.0	0.0
05 02 10	ა(ა)იპ"დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და ტურიზმის განვითარების ცენტრის" ხელშეწყობა	9.2	40.0	0.0	40.0	38.0	0.0	38.0
	ხარჯები	9.2	40.0	0.0	40.0	38.0	0.0	38.0
05 02 11	კულტურის სახლების რეაბილიტაცია	0.0	582.2	475.0	107.2	10.2	0.0	10.2
	ხარჯები	0.0	8.0	0.0	8.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	574.2	475.0	99.2	10.2	0.0	10.2
05 03	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	10.7	10.0	0.0	10.0	10.0	0.0	10.0
	ხარჯები	10.7	10.0	0.0	10.0	10.0	0.0	10.0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	7.8	10.0	0.0	10.0	10.0	0.0	10.0
	ხარჯები	7.8	10.0	0.0	10.0	10.0	0.0	10.0
05 05	პროექტის "ურბანული განვითარების სტრატეგიების შემუშავება ისტორიულ ქალაქებში" (COMUS) ხელშეწყობა	0.0	14.5	0.0	14.5	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	14.5	0.0	14.5	0.0	0.0	0.0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	646.4	856.8	56.0	800.8	603.9	0.0	603.9
	ხარჯები	641.8	845.4	56.0	789.4	603.9	0.0	603.9
	ვალდებულებების კლება	4.6	11.4	0.0	11.4	0.0	0.0	0.0
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	45.7	43.0	0.0	43.0	38.7	0.0	38.7
	ხარჯები	45.7	43.0	0.0	43.0	38.7	0.0	38.7
06 02	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	600.7	813.8	56.0	757.8	565.2	0.0	565.2
	ხარჯები	596.1	802.4	56.0	746.4	565.2	0.0	565.2
	ვალდებულებების კლება	4.6	11.4	0.0	11.4	0.0	0.0	0.0
06 02 01	სამკურნალო დაწესებულებებში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯები	207.9	290.3	0.0	290.3	180.0	0.0	180.0

ორგ. კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	ხარჯები	207.9	290.3	0.0	290.3	180.0	0.0	180.0
06 02 02	მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის და სტუდენტების მგზავრობის ხელშეწყობა	12.6	51.4	0.0	51.4	57.2	0.0	57.2
	ხარჯები	12.6	51.4	0.0	51.4	57.2	0.0	57.2
06 02 03	სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება	116.9	116.1	0.0	116.1	100.0	0.0	100.0
	ხარჯები	115.3	110.0	0.0	110.0	100.0	0.0	100.0
	ვალდებულებების კლება	1.6	6.1	0.0	6.1	0.0	0.0	0.0
06 02 04	საავადმყოფო ფურცელზე მყოფი მუშაკების დახმარება	14.6	10.0	0.0	10.0	10.0	0.0	10.0
	ხარჯები	14.6	10.0	0.0	10.0	10.0	0.0	10.0
06 02 05	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა	40.0	40.0	0.0	40.0	25.0	0.0	25.0
	ხარჯები	40.0	40.0	0.0	40.0	25.0	0.0	25.0
06 02 06	უფასო სასაბინაო დაფინანსება	92.3	97.1	0.0	97.1	96.4	0.0	96.4
	ხარჯები	92.3	97.1	0.0	97.1	96.4	0.0	96.4
06 02 07	სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება	78.1	137.8	56.0	81.8	20.0	0.0	20.0
	ხარჯები	76.9	135.0	56.0	79.0	20.0	0.0	20.0
	ვალდებულებების კლება	1.2	2.8	0.0	2.8	0.0	0.0	0.0
06 02 08	სარიტუალო მომსახურება	2.7	6.0	0.0	6.0	6.0	0.0	6.0
	ხარჯები	2.7	6.0	0.0	6.0	6.0	0.0	6.0
06 02 09	დევენილთა სოციალური დახმარება	12.4	2.5	0.0	2.5	13.0	0.0	13.0
	ხარჯები	10.6	0.0	0.0	0.0	13.0	0.0	13.0
	ვალდებულებების კლება	1.8	2.5	0.0	2.5	0.0	0.0	0.0
06 02 10	პროექტ "დღის სოციალური ცენტრი-დუშეთში" ხელშეწყობა	23.2	25.3	0.0	25.3	25.3	0.0	25.3
	ხარჯები	23.2	25.3	0.0	25.3	25.3	0.0	25.3
06 02 11	ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების ხელშეწყობა	0.0	32.3	0.0	32.3	32.3	0.0	32.3
	ხარჯები	0.0	32.3	0.0	32.3	32.3	0.0	32.3
06 02 12	მცხეთა-მთიანეთის რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობა	0.0	5.0	0.0	5.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	5.0	0.0	5.0	0.0	0.0	0.0

**დუშეთის მუნიციპალიტეტის 2017-2020 წლების
პრიორიტეტების დოკუმენტი**

დუშეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი

2017-2020 წლებისათვის

დუშეთის მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი გეგმის განსაზღვრის მიზნით, შემუშავდა 2017-2020 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა და ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი პრიორიტეტები. დუშეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია: ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, განათლება, კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა და თავდაცვა. აღნიშნული ასახავს დუშეთის მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას და პრიორიტეტულ მიმართულებებს.

2015-2016 წლების მოკლე მიმოხილვა

დუშეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა განსაზღვრული იყო 16 624,8 ათასი ლარის ოდენობით, ფაქტობრივმა შემოსავალმა შეადგინა 13 544,6 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილმა ტრანსფერებმა ბიუჯეტში შეადგინა 9 120,7 ათასი ლარი. მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერი - 3 645,0 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 101,2 ათასი ლარი, ფონდებიდან გამოყოფილმა ტრანსფერებმა შეადგინა - 6 470,5 ათასი ლარი, აქედან: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი - 2 529,7 ათასი ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - 1 514,2 ათასი ლარი და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონიძიებისთვის გამოყოფილმა თანხის ოდენობამ შეადგინა - 1 233,3 ათასი ლარი.

ნაშთმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 3 341,2 ათასი ლარი. ფინანსური აქტივების (ნაშთი) კლებამ შეადგინა 1 702,8 ათასი ლარი.

დუშეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის მიხედვით, გადასახდელების გეგმა განსაზღვრული იყო 16 624,8 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 13 544,6 ათასი ლარი. მათ შორის:

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება - გეგმა - 3 332,8 ათასი ლარი; ფაქტი - 3 049,6 ათასი ლარი;

თავდაცვა და უსაფრთხოება - გეგმა 224,7 ათასი ლარი; ფაქტი - 211,7 ათასი ლარი;

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - გეგმა - 9 660,6 ათასი ლარი, ფაქტი - 7 314,1 ათასი ლარი;

საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსება - გეგმა - 1515,0 ათასი ლარი, ფაქტი - 1 390,2 ათასი ლარი;

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი - გეგმა - 1 033,0 ათასი ლარი, ფაქტი - 932,6 ათასი ლარი;

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების დაფინანსება - გეგმა - 858,7 ათასი ლარი, ფაქტი - 646,4 ათასი ლარი;

დუშეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის მიხედვით შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრულია 13 209,4 ათასი ლარის ოდენობით, საიდანაც 9 898,6 ათასი ლარი არის ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსური დახმარება, (გათანაბრებითი ტრანსფერი - 3 203,4 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 110,0 ათასი ლარი, ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები - 6 570,7 ათასი ლარი), 14,5 ათასი ლარი არის საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობებიდან მიღებული გრანტი და საკუთარი სახრები 3 310,8 ათასი ლარი (საგადასახადო შემოსავლები - 2 895,8 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები - 415,0 ათასი ლარი).

2016 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის მიხედვით გადასახდელების გეგმა შეადგენს 16 521,6 ათას ლარს, საიდანაც: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებაზე გათვალისწინებულია 2707,9 ათასი ლარი, თავდაცვა და უსაფრთხოებაზე 61,9 ათასი ლარი, ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაციაზე 10 021,2 ათასი ლარი, საგანმანათლებლო ღონისძიებებზე 1 242,5 ათასი ლარი, კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობასა და სპორტის განვითარებაზე 1 631,3 ათასი ლარი, მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვასა და სოციალურ პროგრამებზე 856,8 ათასი ლარი.

**დუშეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი
ორგანოების და პრიორიტეტების მოცულობები 2015-2020 წლებში**

ათასი ლარი

№	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
1	ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	7314.1	10021.2	1244.8	1450.9	1555.9	1650.9
2	განათლება	1390.2	1242.5	1299.2	1247.3	1247.3	1247.3
3	კულტურა რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	932.6	1631.3	887.7	1104.5	1117.8	1201.5
4	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	646.4	856.8	603.9	738.3	773.3	803.3
5	თავდაცვა და უსაფრთხოება	211.7	61.9	51.6	60.0	60.0	60.0
6	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	3049.6	2707.9	2517.1	3085.4	2989.1	2720.7

**დუშეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების, პროგრამების მათი აღწერის, მოსალოდნელი
შედეგებისა და შეფასების ინდიკატორები**

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

დუშეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები, კეთილმოწყობის ღონისძიებები, მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა, პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა- შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ათასი ლარი

N	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
1	ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	7314.1	10021.2	1244.8	1450.9	1555.9	1650.9
1.2	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	2399.8	3181.2	340.0	400.0	470.0	530.0
1.2.1	გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	2254.9	3065.8	250.0	300.0	350.0	400.0

N	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
1.3	საპაერო ტრანსპორტის მომსახურების ხარჯი	144.9	115.4	90.0	100.0	120.0	130.0
1.4	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	433.1	354.6	290.0	280.0	305.0	330.0
1.4.1	გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	120.6	101.0	130.0	100.0	110.0	120.0
1.4.2	საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია	20.1	1.9	0.0	0.0	0.0	0.0
1.4.3	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	238.8	198.5	100.0	110.0	120.0	130.0
1.4.4	გაზგაყვანილობის სისტემის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	0.0	2.9	0.0	0.0	0.0	0.0
1.4.5	სარწყავი არხებისა და ნაპირსამგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია	47.2	35.4	60.0	70.0	75.0	80.0
1.4.6	ბინათმშენებლობა	6.4	14.9	0.0	0.0	0.0	0.0
1.5	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	1463.4	1712.9	0.0	0.0	0.0	0.0
1.6	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1102.1	757.7	549.6	710.9	715.9	720.9
1.6.1	სპორტული მოედნების მოწყობა	0.3	73.1	0.0	0.0	0.0	0.0
1.6.2	გამწვანების ღონისძიებები	0.0	5.0	0.0	0.0	0.0	0.0
1.6.3	ბაღებისა, სკვერების, სავაჭრო პავილიონების მოწყობა და კულტურული ძეგლების რეაბილიტაცია	543.3	142.1	30.8	50.0	55.0	60.0
1.6.4	ა(ა)იპ"დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის" ხელშეწყობა	558.5	537.5	518.8	660.9	660.9	660.9
1.7	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება	1613.0	3930.6	0.0	0.0	0.0	0.0
1.8	სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, ექსპერტიზის და ქალქმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები	302.7	84.2	55.0	60.0	65.0	70.0

1.2 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა

მუნიციპალიტეტში სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, ამიტომ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საავტომობილო გზების, ხიდების და ბოგირების მშენებლობის აუცილებლობა. მნიშვნელოვანია საკურორტო ცენტრებთან, ისტორიულ და

კულტურულ ძეგლებთან მისასვლელი გზების რეკონსტრუქცია და მოდერნიზება, ასევე მნიშვნელოვანია საჰაერო ტრანსპორტი მაღალმთიანი სოფლებისათვის (შატილი, არხოტი), სადაც დიდ თოვლობის დროს ავტოტრანსპორტით მისვლა შეუძლებელია. საჰაერო ტრანსპორტი ამ დროს იძენს სასიცოცხლო მნიშვნელობას მაღალმთიანი სოფლებისთვის.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

- მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება;
- სოფლის მოსახლეობის რაიონულ ცენტრებთან და ქალაქებთან დაკავშირება;
- მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- ეკონომიკური და ტურისტული ინტენსივობის ზრდა;
- მოდერნიზებული და რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რეაბილიტირებული და ახალი გზების რაოდენობა;
- გადაადგილების დრო და სატრანსპორტო ხარჯები;
- უბედური შემთხვევების რაოდენობის შემცირება;
- მოწესრიგებული ქუჩების და გზების ფართობი;
- გაზრდილი ტურისტების რაოდენობა.

1.2.1 გზების მშენებლობის რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯები

დუშეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს გზების რეაბილიტაცია და მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება, რომლის ფარგლებშიც მომდევნო 4 წლის განმავლობაში დუშეთის მუნიციპალიტეტში გაგრძელდება, როგორც მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია, ასევე ქ.დუშეთში შიდა საუბნო გზების მოასფალტება, აღნიშნული პრობლემების მოგვარების შედეგად ძირითადად მოწესრიგდება შიდა სატრანსპორტო მიმოსვლა, შემცირდება ცენტრიდან სოფლებამდე და სოფლებს შორის მიმოსვლის დრო, გაიზრდება ტურისტთა რაოდენობა, რის შედეგადაც გაიზრდება მუნიციპალიტეტის ეკონომიკური აქტივობა და გაუმჯობესდება მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა.

1.3 საჰაერო ტრანსპორტით მომსახურება

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მეწყერების, დიდთოვლობის შედეგად ჩაკეტილი გზების და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში, შატილსა და არხოტში საჰაერო ტრანსპორტით მომსახურებას.

1.4 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის პრიტორიტეტს წარმოადგენს კომუნალური მეურნეობის განვითარება, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლების განმავლობაში ყველა იმ სოფელში, რომლებშიც ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა სასმელი წყლის მიწოდება და გარე განათების მოწყობა, მოხდება მომდევნო წლებში აღნიშნული პროექტების განხორციელება, აგრეთვე მოეწყობა წყალგაყვანილობის სისტემები, სარწყავი არხები და ნაპირსამაგრი ნაგებობები. რეაბილიტაცია ჩაუტარდება სოფლებში დაზიანებულ წყალგაყვანილობის სისტემებს, მოწესრიგდება საკანალიზაციო სისტემები. განხორციელდება დუშეთის მუნიციპალიტეტის იერსახის, სისუფთავის და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებები. ზემოაღნიშნული ღონისძიების განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტში დასახლებული მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები და შემცირდება მათი მიგრაციის პროცესი.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- გაუმჯობესებული სანიტარული პირობები;
- მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;
- გამართული კომუნალური ინფრასტრუქტურა;
- განათებულ ქუჩებში მოსახლეობის და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება;
- კრიმინოგენული ფაქტორების შემცირება;
- სანიაღვრე ქსელის გამართული ფუნქციონირება, ქალაქის კომუნალური მეურნეობის მოწესრიგება, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- განათებული სოფლების რაოდენობა;
- განათებული ქუჩების რაოდენობა და განათების ინტენსივობა;
- გატანილი ნარჩენების რაოდენობა;
- რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა;
- გაწმენდილი და გასუფთავებული სანიაღვრე მილების, კოლექტორების და წვიმმიმღები ჭების რაოდენობა;
- დაკმაყოფილებული ოჯახების რაოდენობა.

1.4.1 გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

დღე-ღამის ნებისმიერ დროს, მოსახლეობის როგორც ქალაქად ისე სოფლად, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ღამით განათება, რისი გათვალისწინებიაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება დუშეთის მუნიციპალიტეტში არსებული გარე-განათების ქსელის ელექტრო ენერჯის ხარჯი. ქვეპროგრამის მიზანია განათების ინტენსივობის გაზრდა, აგრეთვე იგეგმება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე-განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია.

1.4.3 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ქვეპროგრამის ფარგლებში გასულ წლებში ეტაპობრივად მიმდინარეობდა წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია, რაც გაგრძელდება მომდევნო წლების განმავლობაშიც.

1.4.5 სარწყავი, სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა - რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის კომუნალური მეურნეობისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სანიაღვრე ქსელების და კოლექტორების მოვლა-პატრონობას, გარკვეული ნაწილის აღდგენა-რეაბილიტაციას და სარეკონსტრუქციო სამუშაოებს. სანიაღვრე ქსელებისა და კოლექტორების გარკვეული ნაწილი ამორტიზირებულია და მოითხოვს განახლებას, ხოლო ქსელების ნაწილი სარეკონსტრუქციოა. ქვეპროგრამა ითვალისწინებს სანიაღვრე ქსელების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოვლა-პატრონობას (ექსპლოატაცია), მიმდინარე შეკეთებას, სანიაღვრე კოლექტორების, წვიმმომღებების, საკონტროლო ჭების, გვერდმომღებების მოწყობას, კიუვეტების გაწმენდას. ქვეპროგრამის მიზანია სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირება, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების სათავე ნაგებობების წესრიგში მოყვანა, იგეგმება აგრეთვე დამცავი გაბიონების მოწყობა და დაზიანებულების აღდგენა.

1.6 კეთილმოწყობის ღონისძიებები

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაზიანებული ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა – რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა ობიექტების კეთილმოწყობა, მოვლა-პატრონობა; მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის მიმართულია მრავალმხრივი სამუშაოები, რათა გაუმჯობესდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა, შეიქმნას მოსახლეობისათვის სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები. პროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა და განათების ინტენსივობის ზრდა, უპატრონო ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა და ქალაქის გამწვანება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა;
- მოვლილი, გამწვანებული სკვერები და გაზონები;
- მოსახლეობისათვის დასასვენებელი პირობების გაუმჯობესება;
- მოსახლეობისთვის უსაფრთხო და სასიამოვნო გარემოს შექმნა, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;
- სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რეაბილიტირებული და ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა;

- შემცირებული ნარჩენების რაოდენობა;
- შემცირებული უპატრონო ძაღლების რაოდენობა.

1.6.3 ბაღებისა, სკვერების, სავაჭრო პავილიონების მოწყობა და კულტურული ძეგლების რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის ფარგლებში დუშეთის მუნიციპალიტეტში იგეგმება სკვერების მოწყობა.

1.6.4 ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის ხელშეწყობა

დუშეთის მუნიციპალიტეტის იერსახის, სისუფთავის და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება მუნიციპალიტეტის მთავარ პირობას წარმოადგენს. ქვეპროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია ქალაქის, დაბების, რიგი სოფლების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა. აღნიშნული სამსახური აგრეთვე უზრუნველყოფს გარე განათების მოვლა-პატრონობას, მაწანწალა ცხოველების დაჭერას და მათ გადაყვანას სპეციალიზებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

1.8 სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, ექსპერტიზის და ქალქმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები

მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს, მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების გათვალისწინებით, შესაბამისი საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. აუცილებელია სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

2. განათლება

საბავშვო ბაღების აღსაზრდელთა განვითარების ხელშეწყობა და სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო - სააღმზრდელო და კულტურული გარემოს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, საზოგადოების აქტიურ ჩართვას მიმდინარე საგანმანათლებლო-სააღმზრდელო და კულტურულ პროცესებში, მათ ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირებას, ადგილობრივი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო და კულტურული დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებას, დახვეწასა და მოსახლეობის ინტერესებზე მორგებას. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. გარდა ამისა, განხორციელდება სკოლა-პანსიონების დაფინანსება მოსწავლეთა ხელშეწყობის მიზნით.

N	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
2	განათლება	1390.2	1242.5	1299.2	1247.3	1247.3	1247.3
2.1	ა (ა) იმ „დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ ხელშეწყობა	1280.2	894.7	1132.1	1132.6	1132.6	1132.6
2.2	საჯარო სკოლების ხელშეწყობა	0.0	85.1	0.0	0.0	0.0	0.0
2.3	ა (ა) იმ „დუშეთის მოსწავლეთა ხელშეწყობის ცენტრის“ დაფინანსება	110.0	108.0	97.2	114.7	114.7	114.7
2.4	საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია	0.0	154.7	69.9	0.0	0.0	0.0

2.1 სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა

სკოლამდელი განათლების განვითარების სისტემის სტრატეგიული მიზანია, სკოლამდელი აღზრდის სისტემა გახდეს სკოლასა და შემდგომ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის ინსტრუმენტი. პროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ასევე, პროგრამის მიზანია სკოლამდელი აღზრდის ცენტრის და მისი ფილიალების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელებას, სტანდარტების შესაბამისი საამლზრდელი პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწას, სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფას და აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარებას. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 14 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 650-ზე მეტი ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს საბავშვო ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. საბავშვო ბაღებში ერთი ბავშვის კვება-დღის ღირებულება შეადგენს 2.8 ლარს, ასევე 2017 წელს დაგეგმილია სოფ. ბულაჩაურში და სოფ. ქვეშეთში საბავშვო ბაღების გახსნა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- გაუმჯობესებული და უსაფრთხო საამლზრდელი გარემო;
- გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა;
- ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და დასაქმების ხელშეწყობა;
- აღსაზრდელთა შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- არანაკლებ ორი ახალი ბაღის გახსნა;
- საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა და ჯგუფების რაოდენობის გაზრდა;
- სათანადოდ აღჭურვილი საბავშვო ბაღების რაოდენობა.

2.3 მოსწავლეთა ხელშეწყობის ცენტრის დაფინანსება

პროგრამის ფარგლებში, მოსწავლეთა ხელშეწყობის მიზნით, მუნიციპალიტეტი აფინანსებს მადაროსკარის, ბარისახოს და შატილის სკოლა-პანსიონებს. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს დაშორებულ დასახლებებში მცხოვრებ საჯარო სკოლის მოსწავლეთა ნორმალურ აღზრდას, უზრუნველყოს ისინი საცხოვრებლითა და კვებით, შეუქმნას ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული პირობები, დაეხმაროს მათ ზოგადი განათლების მიღების პროცესში. პანსიონებში ბავშვთა რაოდენობა შეადგენს 32-ს. კვების ხარჯი ერთ ბავშვზე შეადგენს 2,80 ლარს, რაც მთლიანად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება. კვების ხარჯების გარდა, მუნიციპალიტეტი აფინანსებს პანსიონების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- გაუმჯობესებული სასწავლო პროცესი;
- საგანმანათლებლო დონის ამაღლება;
- მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის (ასაკობრივი და სოციალური ჯგუფების) განათლების ხელმისაწვდომობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსწავლეთა რაოდენობის ზრდა.

2.4. საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 04)

პროგრამის ფარგლებში 2017 წელს დაგეგმილია სოფ. ჭართალში და სოფ. ოძისში საბავშვო ბაღების მოწყობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა;
- სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სათანადოდ აღჭურვილი საბავშვო ბაღების რაოდენობა;
- აღსაზრდელთა რაოდენობა;
- საბავშვო ბაღების რაოდენობა.

3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ სპორტული შესაძლებლობების

გამოვლინება. ასევე აფინანსებს ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

ათასი ლარი

N	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
3	კულტურა რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	932.6	1631.3	897.9	1104.5	1117.8	1201.5
3.1	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	400.9	477.2	365.0	438.7	443.7	448.7
3.1.1	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	34.9	35.6	35.0	45.0	45.0	45.0
3.1.2	სასპორტო გაერთიანების ხელშეწყობა	277.6	312.5	290.0	333.7	333.7	333.7
3.1.3	საფეხბურთო კლუბი "არაგვის" ხელშეწყობა	88.4	10.9	0.0	0.0	0.0	0.0
3.1.4	რაგბის კლუბის ხელშეწყობა	0.0	45.3	40.0	60.0	65.0	70.0
3.1.5	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	0.0	72.9	0.0	0.0	0.0	0.0
3.2	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	513.2	1119.6	512.9	645.8	654.1	732.8
3.2.1	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	72.9	88.7	60.0	100.0	105.0	110.0
3.2.2	სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა	44.6	45.4	43.3	53.1	53.9	66.5
3.2.3	ბიბლოთეკების ხელშეწყობა	84.9	95.8	106.8	115.0	114.0	114.0
3.2.4	მუზეუმების ხელშეწყობა	27.5	24.8	24.5	30.1	30.1	38.6
3.2.5	კულტურულ საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა	34.8	33.1	33.6	48.2	48.5	64.6
3.2.6	კულტურის სახლების ხელშეწყობა	173.3	132.1	132.4	175.4	175.6	205.5
3.2.7	ტელემაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა	2.5	3.3	3.3	3.3	3.3	3.3
3.2.8	მუსიკალური კოლექტივების ხელშეწყობა	59.5	62.2	60.8	70.4	73.4	80.0
3.2.9	საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხელშეწყობა	4.0	12.0	0.0	0.0	0.0	0.0
3.2.10	ა(ა)იპ"დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და ტურიზმის განვითარების ცენტრის" ხელშეწყობა	9.2	40.0	38.0	50.3	50.3	50.3

N	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
3.2.11	კულტურის სახლების რეაბილიტაცია	0.0	582.2	10.2	0.0	0.0	0.0
3.3	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	10.7	10.0	10.0	10.0	10.0	10.0
3.4	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	7.8	10.0	10.0	10.0	10.0	10.0
3.5	პროექტის "ურბანული განვითარების სტრატეგიების შემუშავება ისტორიულ ქალაქებში" (COMUS) ხელშეწყობა	0.0	14.5	0.0	0.0	0.0	0.0

3.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის ფარგლებში მოხდება სხვადასხვა სპორტული სახეობების პოპულარიზაცია, განხორციელდება სპორტული დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა, რათა უზრუნველყოფილი იყოს სპორტსმენების სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება, სხვადასხვა სპორტული სახეობების ასაკობრივი გუნდების მზადება და მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონატები, პირველობები, თასების გათამაშებები, მასობრივი სპორტული ღონისძიებები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები). ჩატარდება მუნიციპალური, რეგიონული, საერთაშორისო და რესპუბლიკური ტურნირები ჭიდაობის სხვადასხვა სახეობებში, უმცროს ასაკში, ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში, ასევე რეგიონული და რესპუბლიკური ტურნირები ფეხბურთში, ფრენბურთში, ნიჩბოსნობაში, კრივში; დუშეთის სპორტულ სკოლას წარმატებები სხვადასხვა სპორტის სახეობებში, სადაც კარგი მიღწევებით გამოირჩევიან.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ქვეყნის ნაკრების შევსება ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით;
- სპორტის სხვადასხვა სახეობების ადგილობრივი და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში სპორტსმენთა წარმატებული გამოსვლა;
- მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული მწვრთნელ-მასწავლებლები და ახალგაზრდა, პერსპექტიული სპორტსმენები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სხვადასხვა ტურნირებზე წარმატებული სპორტსმენების რაოდენობა;
- პრიზიორთა რაოდენობა სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებზე;
- სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში ჩაბმულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობა;

- საერთაშორისო სტანდარტების და თანამედოვე ინვენტარით აღჭურვილი სპორტული ობიექტების რაოდენობა.

3.1.1 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება

ქვეპროგრამის ფარგლებში ხელი შეეწყობა სპორტული ღონისძიებების დაფინანსებას, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. ჩატარდება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები სკოლებს შორის და ასევე მოზდილებს შორის სპორტის მრავალ სახეობებში.

3.1.2 სასპორტო გაერთიანების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს დუშეთის სასპორტო სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს და ასევე აპარატის ხარჯებს, რომელიც ახორციელებს გაერთიანებაში შემავალი ფილიალების მენეჯმენტს. სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს სპორტის 10 სახეობა (ფეხბურთი, ჭიდაობა, კალათბურთი, ჭადრაკი, ფრენბურთი, ნიჩბოსნობა, კრივი, კარატე, ტანვარჯიში, ძალოსნობა) სადაც მოსწავლეთა რაოდენობა დაახლოებით 400-ია.

3.1.4 რაგბის კლუბის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია დუშეთის რაგბის კლუბის დაფინანსება, რომელიც ითვალისწინებს: საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის საწევრო გადასახადს, რაგბისტთა ტრანსპორტით მომსახურებას, შეკრების ხარჯებს, სხვადასხვა ინვენტარის, უნიფორმის შექმნას და ჩასატარებელი თამაშების მოგების შემთხვევაში გუნდის წევრების ფულადი ფორმით წახალისებას.

3.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრება ყოველთვის გამოირჩევა მრავალფეროვნებითა და ღონისძიებების სიმრავლით, რაც ხელს უწყობს, როგორც ქართველი ხელოვანების შემოქმედებითი იდეების რეალიზებას, ასევე მუნიციპალიტეტის, კულტურული სტატუსის დამკვიდრებას. პროგრამა გულისხმობს ხელოვანების ღირსეულად წარმოჩენას, მათ ხელშეწყობას და მათი პროექტების მეშვეობით მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას, ღვაწლმოსილი ხელოვანების სათანადოდ დაფასებასა და მათი შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას, სახელმწიფო სახალხო და რელიგიური სადღესასწაულო ღონისძიებების აღნიშვნას, ტრადიციების შენარჩუნების გათვალისწინებით და მოსახლეობისა და ტურისტებისათვის სასიამოვნო და დაუვიწყარი გარემოს შექმნას, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების ჩატარებას, კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებში სხვადასხვა თაობის ხელოვანების ჩართულობას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით, პროგრამის ფარგლებში აგრეთვე გაგრძელდება კულტურული დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მოსახლეობაში ქართული კულტურისა და ტრადიციების დაცვა და შენარჩუნება;
- ღვაწლმოსილი ადამიანების დაფასება;
- ნიჭიერი შემოქმედების წარმოჩენა, შემოქმედებითი პროცესის ინტენსივობა;
- კულტურული მემკვიდრეობის ადგილებში ტურისტების რაოდენობის ზრდა;
- საინტერესო და მრავალფეროვან ღონისძიებებზე მოსახლეობის და ხელოვანების ჩართულობა და მონაწილეობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ხელოვნების და კულტურის განვითარების მხარდამჭერი პროექტების რაოდენობა;
- პროექტებისა და ღონისძიებების რაოდენობა.
- ფესტივალებში, კონკურსებსა და საიუბილეო ღონისძიებებში მონაწილეთა და დამსწრეთა რაოდენობა.

3.2.1 კულტურული ღონისძიებების დაფინანსება

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ეროვნული თუ ადგილობრივი დღესასწაულების ორგანიზებას და სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობას, შემოქმედებითი კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების, ფესტივალებში, კონკურსებსა და გამოფენებში მონაწილეობის ხელშეწყობას, ხელოვნების სკოლების მოსწავლეთა შემოქმედებითი საღამოების მოწყობას და სხვა.

3.2.2 სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა

სახელოვნებო განათლება ქვეყნის კულტურისა და განათლების პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია, როგორც ქართული კულტურის სულიერი და მატერიალური მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და ხელოვნების განვითარების, ისე ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის სრულყოფის საკითხში. ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს სახელოვნებო სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. სახელოვნებო სკოლაში ფუნქციონირებს ხატვის, ძერწვის, თექაზე მუშაობის, ლიტერატურის, საეკლესიო საგალობლების წრეები, სადაც სწავლობს დაახლოებით 110 მოსწავლე.

3.2.3 ბიბლიოთეკების ხელშეწყობა

ახალგაზრდა თაობის ინტელექტუალური, ზნეობრივი და კულტურული განვითარების მიზნით, ისევე როგორც გასულ წლებში გაგრძელდება ადგილობრივი ბიბლიოთეკების დაფინანსება. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ქ.დუშეთის ალ. როინაშვილის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა და ანანურის, ფასანაურის, ჭოპორტის სასოფლო ბიბლიოთეკები, აღნიშნული ბიბლიოთეკები ხელს უწყობს ახალი თაობის დაინტერესებას წიგნით და საზოგადოების განათლებისთვის საჭირო ინფორმაციით, ასევე ხელს უწყობს მოსწავლე-

ახალგაზრდობის ინტელექტუალურ განვითარებას და მოსახლეობის საჭირო ლიტერატურით მომარაგებას.

3.2.4 მუზეუმების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერა, მათ შორის: მუზეუმების საქმიანობის პოპულარიზაცია; ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების მოვლა-პატრონობა და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმებზე არსებული ინფორმაციის შევსება, განახლება და სისტემატიზაცია, სამუზეუმო ფონდების განახლების, მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის ღონისძიებები, მუზეუმების პოპულარიზაციისა და განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები, მუზეუმების საგამოფენო-საექსპოზიციო საქმიანობის გააქტიურება, რაც ხელს შეუწყობს მუზეუმებში დამთვალიერებელთა რაოდენობის ზრდას. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება დანიელ ჭონქაძის სახელობის და დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმები რაც ხელს უწყობს ტრადიციული მემკვიდრეობის შენარჩუნებას და ტურისტების გათვითცნობიერებას ადგილობრივ კულტურასთან.

3.2.5 კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა

ქვეპროგრამა ითვალისწინებს კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ხარჯების დაფინანსებას, რომლის ფუნქციაშიც შედის, კულტურის სახლების, მუსიკალური კოლექტივების, მუზეუმების და სახელოვნებო სკოლის კოორდინირება.

3.2.6 კულტურის სახლების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ქ.დუშეთის და დაბა ჟინვალის კულტურის სახლები. აღნიშნული კულტურის სახლები ემსახურება პოეზიის სადამოების, ფოლკლორული და თეატრალური ღონისძიებების ჩატარებას. ამავე ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება კულტურის სახლთან არსებული ქართული ხალხური საკრავების და სიმღერის ანსამბლი „ქალილო“.

3.2.7 ტელემაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა

ქვეპროგრამა ითვალისწინებს გაზეთ „დუშეთის მაცნეს“ დაფინანსებას, რომელიც ახდენს ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებას სხვადასხვა საინტერესო საინფორმაციო სიახლეებით, ასევე ხდება ინფორმაციის მიწოდება მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული და განსახორციელებელი პროგრამების შესახებ.

3.2.8 მუსიკალური კოლექტივების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ქ. დუშეთის, დაბა ჟინვალის და დაბა ფასანაურის სამუსიკო სკოლებს, სადაც სწავლობს დაახლოებით 194 მოსწავლე, რომლებიც წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა მუსიკალურ კონკურსსა და მუსიკალურ ფესტივალში. სამუსიკო სკოლების დაფინანსება ხდება როგორც ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ისე მშობელთა შემონატანით. თოთოეულ ბავშვზე სწავლის გადასახდი თვეში შეადგენს 20 ლარს.

3.2.10 ა(ა)იპ "დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და ტურიზმის განვითარების ცენტრის" ხელშეწყობა

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება, დუშეთის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევა და პოპულარიზაცია, მოხდება მუნიციპალიტეტის ტურისტული განვითარების პოტენციალის კვლევა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობი მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და მათ განხორციელებაში მონაწილეობა. განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური, არქიტექტურული, ქალაქთმშენებლობის (ურბანული), პალეოგრაფიული, მემორიალური, ეთნოგრაფიული და სხვა ტიპის ძეგლების გამოვლენა, შესწავლა და სათანადო საინფორმაციო ბაზის შექმნა, ასევე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით სათანადო ღონისძიებების განხორციელება. მნიშვნელოვანია ასევე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროცესში ფართო საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა, მოხალისეთა და დონორთა მოზიდვა, მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის, ბუნებრივ ღირსშესანიშნაობათა და სხვა ობიექტების ტურისტული პოტენციალის, შესაძლებლობებისა და უპირატესობების გამოვლენა, გააზრება და განვითარება, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამების შემუშავება. მათ შორის: ეთნოტურიზმის, სათავგადასავლო ტურიზმის, საოჯახო ტურიზმის, პილიგრიმული ტურიზმის, აგრო-ტურიზმის, ადგილობრივი ტრადიციული სამზარეულოს პოპულარიზაციის, ადგილობრივი ტრადიციული დღესასწაულების აღდგენის და პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

3.3 ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება

პროგრამის ფარგლებში მოხდება ახალგაზრდა შემოქმედთა გამოსავლენად და ხელშესაწყობად ფესტივალების, გამოფენების, ლიტერატურული საღამოების და სხვა კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, რომლებიც პირველ ყოვლისა ორიენტირებული იქნება განსაკუთრებული საჭიროების მქონე მომავალი თაობების წარმომადგენელთა დახმარებაზე. აღნიშნული ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. ხელი შეეწყობა ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- ახალგაზრდების მხრიდან თავისუფალი დროის შიანარსიანი და ეფექტური გამოყენება;
- ახალგაზრდული ორგანიზაციების საქმიანობის არეალის გაფართოვება და მათი აქტივობის ზრდა;
- განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა;

- ახალგაზრდების საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- განხორციელებული პროექტების რაოდენობა;
- პროექტებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა.

3.4 რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა

პროგრამის ფარგლებში ხელი შეეწყობა დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ეკლესია - მონასტრების ფინანსურ მხარდაჭერას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- ეკლესიაში წირვა - ლოცვისთვის შესაბამისი გარემოს შექმნა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მრევლის რაოდენობა.

4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება კვლავ რჩება ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებად. პრიორიტეტი ითვალისწინებს პროგრამებს და ქვეპროგრამებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა, გააუმჯობესოს ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ხარისხი და უზრუნველყოს საჭიროებებზე დაფუძნებული სოციალური გარანტიების შესაბამისი ბენეფიციარებისათვის შეთავაზება; პრიორიტეტის ფარგლებში ბენეფიციარები უზრუნველყოფილი იქნებიან გარანტირებული სოციალური დახმარებებით, მათი საჭიროებიდან გამომდინარე. ამ მიზნით განხორციელდება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სხვადასხვა პროგრამები და ქვეპროგრამები, მათ შორის: სამკურნალო დაწესებულებებში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯები, მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის და სტუდენტების მგზავრობის ხელშეწყობა, სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება, საავადმყოფო ფურცელზე მყოფი მუშაკების დაფინანსება, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა, ა(ა)იპ „უფასო სასაბავშვო მზრუნველობამოკლებულთათვის“ დაფინანსება, სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება, ომის ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების ხარჯი, და პროექტ „დღის სოციალური ცენტრი-დუშეთში“ ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტი რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. გრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

ათასი ლარი

N	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
4	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	646.4	856.8	603.9	738.3	773.3	803.3
4.1	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	45.7	43.0	38.7	44.0	44.0	44.0
4.2	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	600.7	813.8	565.2	694.3	729.3	759.3
4.2.1	სამკურნალო დაწესებულებებში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯები	207.9	290.3	180.0	220.0	230.0	240.0
4.2.2	მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის და სტუდენტების მგზავრობის ხელშეწყობა	12.6	51.4	57.2	55.0	60.0	65.0
4.2.3	სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება	116.9	116.1	100.0	145.0	150.0	155.0
4.2.4	საავადმყოფო ფურცელზე მყოფი მუშაკების დახმარება	14.6	10.0	10.0	10.0	10.0	10.0
4.2.5	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა	40.0	40.0	25.0	40.0	45.0	50.0
4.2.6	უფასო სასაბინო დაფინანსება	92.3	97.1	96.4	103.0	103.0	103.0
4.2.7	სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება	78.1	137.8	20.0	40.0	50.0	55.0
4.2.8	სარიტუალო მომსახურება	2.7	6.0	6.0	6.0	6.0	6.0
4.2.9	დევილთა სოციალური დახმარება	12.4	2.5	13.0	13.0	13.0	13.0
4.2.10	პროექტ "დღის სოციალური ცენტრი-დუშეთში" ხელშეწყობა	23.2	25.3	25.3	30.0	30.0	30.0
4.2.11	ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების ხელშეწყობა	0.0	32.3	32.3	32.3	32.3	32.3
4.2.12	მცხეთა-მთიანეთის რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობა	0.0	5.0	0.0	0.0	0.0	0.0

4.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები;
- იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა;
- იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა;

- პარაზიტული დავადებების ეპიდკვლევა, დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა;
- საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების ხელშეწყობა;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ზედამხედველობა და ხელშეწყობა.

ასევე პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დაბებში: ჟინვალსა და ფასანაურში სამედიცინო ამბულატორიების მშენებლობისათვის საძირკვლების მოწყობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

- მოსახლეობის დაცვა სხვადასხვა ინფექციურ დაავადებათა გავრცელებისგან.
- მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ჩატარებული პრევენციული ღონისძიებების რაოდენობა;
- პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა.

4.2 მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მუნიციპალიტეტში მოსახლეობის სოციალური-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა.

4.2.1 სამკურნალო დაწესებულებებში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯები

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწევათ ჯანმრთელობის პრობლემების მქონე, გადახდისუუნარო მოქალაქეებს, რომლებსაც შეიძლება დაუფინანსდეს შემდეგი სამედიცინო მომსახურების სახეები:

- ა) წინასწარი ამბულატორიული გამოკვლევები;
- ბ) სტაციონარული მკურნალობა;
- გ) გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში დუშეთის მუნიციპალიტეტიდან სხვა, ნებისმიერ საავადმყოფოში გადაყვანის ხარჯები.

სამედიცინო მომსახურების ღირებულება ფინანსდება:

- 500 ლარის ჩათვლით – 100% -მდე;
- 501 ლარიდან 1000 ლარის ჩათვლით – 70% - მდე;
- 1001 ლარიდან 3000 ლარის ჩათვლით – 55% - მდე;
- 3001 ლარიდან 5000 ლარის ჩათვლით - 35% -მდე;
- 5001 ლარიდან ზევით 25% –მდე.

საყოველთაო დაზღვევით მოსარგებლე 5 წლამდე ასაკის ბავშვებს და 80 წელს გადაცილებულ მოხუცებს თანადაფინანსების თანხა აუნაზღაურდებათ 100%-ით.

სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობის შემთხვევაში გამოკვლევის, გადაუდებელი ოპერაციული და თერაპიული მკურნალობის 100%-ით დაფინანსება (არაუმეტეს 3,000.00 ლარისა), ხორციელდება დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების საფუძველზე.

4.2.2 მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის და სტუდენტების მგზავრობის ხელშეწყობა

ქვეპროგრამა ითვალისწინებს: სოფ. ჩოხიდან-დაბა ფასანაურამდე კვირაში 2-ჯერ და სოფ.ხორხიდან - ქ.დუშეთამდე კვირაში ერთხელ მოსახლეობის უფასოდ მგზავრობის ხელშეწყობას და დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სტუდენტების მგზავრობის ხელშეწყობას.

4.2.3 სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება

ერთჯერადი დახმარების სახით 50 ლარიდან 200 ლარამდე ფინანსური დახმარება გაეწევათ:

- ა) გაჭირვებულ მოქალაქეებს, (ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის შუამდგომლობით), გარდა იმ მოქალაქეებისა, რომლებსაც მინიჭებული აქვს 57 000- მდე სარეიტინგო ქულა;

ბ) ჯანმრთელობის განსაკუთრებული პრობლემების მქონე მოქალაქეებს, კერძოდ: დიაბეტით, ეპილევსიით, პარკინსონიზმით დაავადებულებს, ონკოლოგიურ ავადმყოფებს, I და II ჯგუფის ინვალიდებს, უსინათლოებს;

გ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, რომელთაც არ შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაადგილება;

დ) უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვისათვის - პირებს, რომელთაც ითავებს მიცვალებულის დაკრძალვა;

ე) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ უხუცესებს, რომელთაც შეუსრულდათ ასი და მეტი წელი;

ვ) ოჯახებს, პირველი და მეორე ბავშვის შექმნისას;

ზ) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს, 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით.

თ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის (აფხაზეთი, სამაჩაბლო) ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახებს;

ი) 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მონაწილეებს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მრავალშვილიან (4 და მეტი არასრულწლოვანი შვილი) ოჯახებს ფინანსური დახმარება გაეწევათ 300 ლარის ოდენობით;

ჰემოდიალიზს დაქვემდებარებულ პირებს, ერთჯერადად 300 ლარის ოდენობით;

განსაკუთრებულ შემთხვევებში კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია ზღვრულ ოდენობაზე მეტი თანხის გაცემა (არაუმეტეს 2000 ლარამდე) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე.

4.2.4 საავადმყოფო ფურცელზე მყოფი მუშაკების დახმარება

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება საავადმყოფო ფურცელზე მყოფი მუშაკების დაფინანსება.

4.2.5 სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამა მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ავადმყოფებისა და სოციალურად გაჭირვებული მოქალაქეების მედიკამენტებით უზრუნველყოფას, მედიკამენტების ღირებულება 150 ლარის ფარგლებში დაუფინანსდებათ:

ა) ეპილევსიით დაავადებულებს;

ბ) პარკინსონით დაავადებულებს;

გ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ 0-100 000- მდე სარეიტინგო ქულა.

4.2.6 ა(ა)იპ „უფასო სასაბილო მზრუნველობამოკლებულთათვის“ დაფინანსება

ქვეპროგრამა ითვალისწინებს „უფასო სასაბილო მზრუნველობამოკლებულთათვის“ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. უფასო სასაბილოთი მომსახურება ითვალისწინებს

მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მქონე 110 ბენეფიციარის დღეში ერთჯერად უფასო კვებას, გარდა კვირა დღისა. ერთი ბენეფიციარის კვება/დღის ხარჯი დღეში შეადგენს 1,68 ლარს.

4.2.7 სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძრით, სტიქიური მოვლენებით (მიწისძვრა, მეწყერი, წყალდიდობა, დიდთოვლობა და ა.შ) უსახლკაროდ დარჩენილი და სხვა მძიმე გარემოებათა გამო დაზარალებული ოჯახებს ერთჯერადად 1000 ლარამდე თანხის ოდენობით.

განსაკუთრებულ შემთხვევებში კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია დახმარების სახით გაიცეს ზღვრულ ოდენობაზე მეტი ფულადი თანხა. (არაუმეტეს 3000 ლარი).

4.2.8 სარიტუალო მომსახურება

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეორე მსოფლიო ომსა და საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის ბრძოლებში გარდაცვლილ მეომართა ოჯახებზე სარიტუალო ხარჯებს 250 ლარის ოდენობით.

4.2.9 დევნილთა სოციალური დახმარება

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები, ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა ერთჯერად დახმარებას 100 ლარის ოდენობით.

4.2.10 პროექტის „დღის სოციალური ცენტრი-დუშეთში“ ხელშეწყობა

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების და დუშეთის მუნიციპალიტეტის ერთობლივი პროექტის „დღის სოციალური ცენტრი-დუშეთში“ ხელშეწყობა, რომელიც მიზნად ისახავს სოციალურად იზოლირებულ და დაუცველი ოჯახების უმწეობის შემცირებას მათი სოციალური მხარდაჭერით, თემის მობილიზებითა და ადგილობრივი რესურსების გამოყენებით. ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდება სასწავლო სემინარები, ტრენინგები და სხვადასხვა სოციალური ღონისძიება.

4.2.11 „ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების“ ხელშეწყობა

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ „ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანება“, რომლის ერთ-ერთ წევრს (დამფუძნებელს), ქალაქ მცხეთის, თვითმმართველი თემის - მცხეთის, თიანეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებთან ერთად წარმოადგენს დუშეთის მუნიციპალიტეტი. დაგეგმილია საინვესტიციო და ჰუმანიტარული პროექტების მოზიდვის ორგანიზება სხვადასხვა დონორი ორგანიზაციებისაგან.

5. თავდაცვა

პრიორიტეტის ფარგლებში ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ქ. დუშეთში ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღრიცხვა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება, ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება.

ათასი ლარი

N	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
5	თავდაცვა და უსაფრთხოება	211.7	61.9	51.6	60.0	60.0	60.0
5.1	საგანგებო სიტუაციების მართვა	174.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
5.2	ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	37.5	61.9	51.6	60.0	60.0	60.0

5.1 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ქ. დუშეთში ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღრიცხვა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება. ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება, სამსახურის მომუშავე პერსონალისთვის შრომის ანაზღაურების კომუნალური და სხვა საოფისე ხარჯების დაფინანსება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

- თავდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული გეგმის მაქსიმალური შესრულება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- წვევამდელთა რაოდენობა.